

## შედეგი:

საქართველოს საბაჟოს მიერ აღიარებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორები (გადამზიდავები, ექსპორტიორები, ექსპედიტორები და ა.შ.) ისარგებლებენ მნიშვნელოვნად გამარტივებული საბაჟო კონტროლის პროცედურებით. აღნიშნული გამარტივება ეხება არა მხოლოდ საქართველოში საქონლის იმპორტ-ექსპორტის პროცედურებს, არამედ გამარტივდება ასევე საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის კონტროლის პროცედურები ევროკავშირის წევრი ქვეყნების საბაჟო ადმინისტრაციების მიერ.

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

**პუბლიკაციის შინაარსზე**  
პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო  
ბანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო  
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16  
info@eugbc.net / www.eugbc.net



**ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საბაჟო რემულირება - ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი**

ბონდო ბოლქვაძე

ექსპერტი საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობის საკითხებში

## ზოგადი მიმოხილვა:

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოციაციის შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის საბაჟო პროცედურებს, რომელსაც ეთმობა შეთანხმების მე-5 თავი „საბაჟოს და ვაჭრობის ხელშეწყობა“. შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ საქართველო 2018 წლის ივნისამდე მოახდენს საბაჟო პროცედურების ჰარმონიზებას ევროპულ რეგულაციებთან.

**ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი (აეო)** არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი თანამედროვე ევროპული საბაჟო კონცეფცია, რომელიც ასტიმულირებს კომპანიებს უფრო გამჭვირვალედ და კანონმორჩილად წარმართონ ბიზნესი, სანაცვლოდ კი ისარგებლონ მთელი რიგი შეღავათებით. საქართველოში 2009 წლიდან მოქმედებს „ოქროს სია“-ს პროგრამა, რომელიც შემუშავებულ იქნა აეო-ს კონცეფციის საფუძველზე, თუმცა ბევრად განსხვავდება მისგან. DCFTA-ს ფარგლებში საქართველო იღებს ვალდებულებას, რომ ეტაპობრივად დანერგავს აეო-ს კონცეფციას.

## აეო-ს არსი და მოკლე შედარებითი ანალიზი „ოქროს სია“-ს პროგრამასთან:

➤ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პროფილის კომპანია, რომელსაც აქვს რაიმე სახის პროცედურული შეხება საბაჟოსთან. ეს შეიძლება იყოს: პორტის ოპერატორი, საზღვაო გადამზიდავი ხაზი, სარკინიგზო ოპერატორი, საავტომობილო გადამზიდავი, ექსპედიტორი, სასაწყობე - ლოგისტიკური, ან სხვა პროფილის კომპანია. „ოქროს სია“ კი მხოლოდ იმპორტიორ ან/და ექსპორტიორ კომპანიებს მოიცავს და მხოლოდ მათ სთავაზობს პროცედურულ ნაწილში შეღავათებს.

➤ ევროკავშირის ქვეყნების ავტორიზებული კომპანიები საქართველოსგან განსხვავებით საბაჟო პროცედურების განხორციელების ყველა ეტაპზე სარგებლობენ კონტროლის პროცედურული შეღავათებით, როგორცაა: საქონლის ქვეყანაში შემოტანა; დაცლა და დასაწყობება; შიდა ტრანზიტი; სხვადასხვა საბაჟო რეჟიმში მოქცევა და ა.შ.

➤ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შეიძლება გახდეს, როგორც მსხვილი, ასევე საშუალო და წვრილი კომპანია, ვინაიდან შერჩევის კრიტერიუმებში ყურადღება არ ექცევა კომპანიის ბრუნვის მოცულობას. „ოქროს სია“-ში გაწევრიანება კი შეუძლია მხოლოდ მსხვილ კომპანიებს რომელთა წლიური იმპორტი აღემატება 5 მილიონ ლარს.

➤ ავტორიზაციის პროცესში ევროკავშირის ქვეყნები ყურადღებით სწავლობენ აპლიკანტი კომპანიების საქმიანობას (პრე-აუდიტი). ტარდება კომპანიების შეფასება ორი ძირითადი მიმართულებით: 1) კომპანიის კანონმორჩილების ისტორია და კეთილსინდისიერება. 2) კომპანიის ორგანიზაციული და სტრუქტურული მოწყობის ფორმა, შიდა ბიზნეს პროცესების მართვა და მენეჯმენტი რომელიც გამორიცხავს შეცდომების დაშვების ალბათობას და კომპანიაში ცალკეული რგოლების მიერ არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

➤ ავტორიზებული ევროპული კომპანიები თითქმის სრულად თავისუფლდებიან საბაჟო ორგანოებთან პროცედურების შეთანხმებისაგან, თუმცა მათ რჩებათ ინფორმირების ვალდებულება. მარტივ ენაზე რომ ვთქვათ ეს ნიშნავს, რომ თუ ავტორიზებული კომპანია გადაწყვეტს განახორციელოს საქონლის იმპორტი მას არ სჭირდება საბაჟო დეკლარაციაზე ან სხვა საბაჟო დოკუმენტზე მეტაჟე ოფიცრის ხელმოწერა ან სხვა სახის თანხმობა პროცედურების დასრულების მიზნით. ის უბრალოდ აცნობებს საბაჟო ორგანოებს მისი განზრახვის შესახებ და უგზავნის შესაბამისი ფორმის ინფორმაციას.

## საქართველოს მიერ შესასრულებელი ძირითადი ვალდებულებები:

➤ უნდა შემუშავდეს შესაბამისი საკანონდებლო ბაზა როგორც საბაჟო კოდექსით ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

➤ შემოსავლების სამსახურმა უნდა წარმართოს ცნობიერების ამაღლების კამპანია შესაბამისი პროფილის კერძო კომპანიებისთვის და გააცნოს აეო-ს მთელი რიგი უპირატესობები.

➤ შემოსავლების სამსახურში უნდა ჩამოყალიბდეს სტრუქტურული ერთეული, ან არსებულ სტრუქტურაში უნდა დაემატოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების ავტორიზაციის და კონტროლის ფუნქცია.

➤ უნდა გაფორმდეს საქართველოს და ევროკავშირის შორის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების ურთიერთაღიარების შეთანხმება.